განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

29/01/2026

MES 7 26 0000089223

ბრძანება

თბილისი

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიზნით, 2026 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის№28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის 16 იანვრის №34597 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში, განხორციელებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიზნით, განისაზღვროს 2026 წლის პრიორიტეტები:

ა) განათლება (011);
ბ) ხელოვნება (021);
გ) აღრიცხვა და დაბეგვრა (0411);
დ) ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა (0412);
ე) მენეჯმენტი და ადმინისტრირება (0413);
ვ) ლოგისტიკა (0413.3.2);

ზ) ტვირთების ექსპედირება (0413.3.3);
თ) საბითუმო და საცალო გაყიდვები (0416);
ი) ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები (051);
კ) გარემო (052);
ლ) ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები (061);
მ) ინტერდისციპლინური (068);
ნ) ინჟინერია და საინჟინრო საქმე (071);
ო) წარმოება და გადამუშავება (072);
პ) არქიტექტურა და მშენებლობა (073);
ჟ) ინტერდისციპლინური (078);
რ) სოფლის მეურნეობა (081);
ს) მეტყევეობა (082);
ტ) მეთევზეობა (083);
უ) ვეტერინარია (084);
ფ) ინტერდისციპლინური (088);
ქ) ჯანდაცვა (091);
ღ) სოციალური კეთილდღეობა (092);
ყ) ინტერდისციპლინური (098);
შ) პერსონალური მომსახურებები (101);
ჩ) ჰიგიენა და პროფესიული ჯანმრთელობის მომსახურებები (102);
ც) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მომსახურებები (103);
ძ) ტრანსპორტის მომსახურებები (104);
წ) ინტერდისციპლინური (108).
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გივი მიქანაძე